

## კითხვები და პასუხები „ასოცირების შესახებ შეთანხმების“/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ტექსტი:

[http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=17011](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=17011)

ევროკავშირი და საქართველო მას შემდეგ თანამშრომლობენ, რაც 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა. ეს თანამშრომლობა „პარტნიორობისა და თანამშრომობის შესახებ შეთანხმებით“ დაიწყო და უფრო ამბიციური, „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გრძელდება.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ტექსტზე მოლაპარაკებები სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. შეთანხმების ხელმოწერა 2014 წლის ივნისშია დაგეგმილი. ხელმოწერის შემდეგ შეთანხმების რატიფიკაცია უნდა მოხდეს საქართველოს პარლამენტში, ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის პარლამენტებში და ევროპარლამენტში. შეთანხმება მხოლოდ მას შემდეგ შევა ძალაში, რაც დასრულდება ეს პროცესი, რომელსაც შეიძლება თითქმის 2 წელი დასჭირდეს, თუმცა, თუკი საქართველო და ევროკავშირი შეთანხმდებიან, სავაჭრო დებულებებით სარგებლობა საქართველოს ხელმოწერისთანავე შეეძლება.

### რა არის „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე?

ასოცირების შეთანხმების მიზანი საქართველოს და ევროკავშირის შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაა. ეს ურთიერთობა საერთო ღირებულებებს ემყარება და ისეთი სფეროების თანდათანობით განვითარებას გულისხმობს, როგორცაა ვაჭრობა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერჯეტიკა, ტრანსპორტი და განათლება. ამ სფეროებს საქართველო ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოებს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არის საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ვაჭრობისა და ეკონომიკის ზრდას. ის, ასევე დაეხმარება ევროკავშირთან საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაში არსებული ბარიერების მოხსნას. შეთანხმება დიდსა თუ მცირე ქართულ ბიზნესს ევროკავშირთან ვაჭრობის უკეთეს შესაძლებლობებს შეუქმნის და ხელს შეუწყობს ევროკავშირის ბიზნესს, ინვესტირება მოახდინოს საქართველოში.

დამოუკიდებელი კვლევის მიხედვით მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირის – ბაზარზე ექსპორტის 12%-ით, ხოლო მშპ 4.3%-ით გაზრდა, ანუ გრძელვადიან პერსპექტივაში დამატებით € 292 მლნ ევრო.

შეთანხმებული რეფორმების დასრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის სწორად განხორციელება საქართველოსთვის დიდი გამოწვევაა. კონკრეტული შედეგების დანახვას გარკვეული დრო დასჭირდება, თუმცა, ძალისხმევითა და მოთმინებით კონკრეტული სარგებელი ხელშესახები გახდება.

### **რატომ სურს ევროკავშირს შეთანხმების ხელმოწერა?**

ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რა მოხდება საქართველოში, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ საქართველო უფრო ახლო მეზობელი გახდა და მისი უსაფრთხოება, სტაბილურობა და კეთილდღეობა უფრო დიდ გავლენას ახდენს ევროკავშირის უსაფრთხოებაზე, სტაბილურობასა და კეთილდღეობაზე.

ევროკავშირმა ინტეგრაციის საკუთარი გზა გაიარა, რომელიც მოიცავს მის შემადგენლობაში მყოფი საბჭოთა გამოცდილების მქონე წევრი-ქვეყნების მიერ განვლილი გარდაქმნების პროცესსაც. ევროკავშირი მუდამ მზადაა დაეხმაროს მეზობლებს იმ უნივერსალური ფასეულობების განამტკიცებაში, რომელზე დაყრდნობითაც მან საკუთარი კეთილდღეობა შექმნა, ესენია: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და საბაზრო ეკონომიკა.

შეთანხმება სთავაზობს საქართველოს, მმართველობის სტანდარტები ევროკავშირის მმართველობის სტანდარტებზე ააგოს, ასევე, ჰქონდეს ისეთივე არჩევანი, როგორც ევროკავშირის მოქალაქეებს.

### **როგორ დაეხმარება „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს დემოკრატია?**

შეთანხმება ამბობს, რომ საქართველო და ევროკავშირი დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის განმტკიცებაზე თანხმდებიან. საქართველო იღებს ვალდებულებას ბევრ სხვა საკითხთან ერთად, დაიცვას პირადი მონაცემები, ებრძოდეს კორუფციას, უზრუნველყოს თანაბარი პირობები ყველასთვის და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას. ევროკავშირი იღებს ვალდებულებას, დაეხმაროს საქართველოს ფინანსებით, გამოცდილების გაზიარებით და მიმდინარე პოლიტიკური დიალოგის წარმართვით.

### **რას გააკეთებს ევროკავშირი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაში საქართველოს დასახმარებლად?**

ევროკავშირი საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ეხმარება. ევროკავშირმა ასობით მილიონი ევრო გამოყო საქართველოში ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტების – პარლამენტის, სახალხო დამცველის აპარატისა და აუდიტის სახელმწიფო სამსახურის – განსამტკიცებლად.

2011–2013 წლებში ევროკავშირმა საქართველოს 180 მლნ ევრო გამოუყო. 41 მლნ ევრო კონკრეტულად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისთვის

აუცილებელი ეკონომიკური და სავაჭრო რეფორმების მხარდაჭერაზეა მიმართული. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლის კვალდაკვალ ევროკავშირი განაგრძობს საქართველოს დახმარებას.

**რა გავლენა ექნება „ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ქართული ენის სტატუსზე და რამდენად შესუსტება ის?**

შეთანხმება არ შეასუსტებს ქართულ ენას, რადგან ევროკავშირი იცავს მრავალფეროვნებას. ევროკავშირში 24 ოფიციალური ენაა; ოფიციალური დოკუმენტის მიღებამდე, ის ევროკავშირის ყველა ენაზე ითარგმნება. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თავიანთ პარალამენტებში რატიფიცირებამდე შეთანხმების ტექსტი ევროკავშირის 24 ენაზე გადაითარგმნება. ქართულად ის უკვე თარგმნილია.

**მართალია, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმება“/ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე საქართველოს ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას ავალდებულებს?**

არ არის მართალი. შეთანხმების არცერთი დებულება არ აიძულებს საქართველოს, დააკანონოს ერთსქესიანთა ქორწინება. ეს საკითხი ევროკავშირის საერთო კანონმდებლობითაც კი არ რეგულირდება. ევროკავშირის თითოეული წევრი-სახელმწიფო თვითონ წყვეტს ამ საკითხს. ზოგიერთ წევრ-სახელმწიფოში ერთსქესიანთა ქორწინება ნებადართულია (მაგ. ბელგია, დანია, შვეცია და გაერთიანებული სამეფო), ზოგან კი – არა (მაგ. კვიპროსი, ესტონეთი და საბერძნეთი). ზოგ ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება კონსტიტუციითაა აკრძალული (მაგ. ბულგარეთი, უნგრეთი და ლატვია).

**მართალია, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში უვიზოდ მოგზაურობა შეეძლებათ?**

საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში ვიზების გარეშე მიმოსვლისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, ამჟამად, ევროკავშირის დახმარებით, მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერისგან დამოუკიდებელი პროცესია.

საქართველომ უნდა დაადასტუროს, რომ ის იცავს საკუთარ საზღვრებს, უზრუნველყოფს თავის მოქალაქეებს თანამედროვე პასპორტებით, იცავს თავშესაფრის მძებელებს, აქვს მიგრაციის თანამედროვე პოლიტიკა, ებრძვის კრიმინალსა და კორუფციას, იცავს უმცირესობებს და ყველა მოქალაქის უფლებებს. ევროკავშირი საქართველოს ყველა ამ ვალდებულების შესრულებაში ეხმარება როგორც ფინანსურად, ისე საექსპერტო რჩევებით.

**მართალია, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირში სწავლა შესაძლებელი გახდება?**

ეს კონკრეტული საკითხი შეთანხმებაში არ არის მოცემული. თუმცა, ევროკავშირის დაფინანსებით უკვე მოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც

საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტებს, ისწავლონ ევროპულ უნივერსიტეტებში. ამასთან, ევროკავშირმა მის საზღვრებს გარეთ მდებარე ქვეყნებს 3 მლნ ევრო გამოუყო იმისთვის, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ახალ პროგრამაში ERASMUS+. მოსალოდნელია, რომ 200 000 – ზე მეტი სტუდენტი მთელი მსოფლიოდან, საქართველოს ჩათვლით, ისარგებლებს ამ პროგრამით.

**მართალია, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოში ჯანდაცვის გაუმჯობესებას გულისხმობს?**

შეთანხმების ერთ–ერთი ამოცანაა ჯანდაცვის სისტემასთან ახლო თანამშრომლობა და საქართველოში ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა. თუკი საქართველო დაგეგმილ რეფორმებს განახორციელებს, პაციენტებს ექნებათ უფრო ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, რომელსაც უკეთ მომზადებული ექიმები უზრუნველყოფენ.

**რა გავლენას მოახდენს ევროკავშირთან თანამშრომლობა ქართულ ტრადიციებზე?**

ევროკავშირში 28 ქვეყანაა გაერთიანებული. ყოველ მათგანს თავისი უნიკალური ისტორია და ტრადიცია აქვს. ერთმანეთის ტრადიციების პატივისცემის, სოლიდარობის, თანასწორობის, ტოლერანტობისა და სამართლიანობის საერთო გაგების გარეშე ევროკავშირი ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა. ევროკავშირში მისი წევრი ქვეყნების ტრადიციებს არასდროს შექმნიათ საფრთხე. არც ევროკავშირი და არც „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ დააკისრებს საქართველოს რაიმე ისეთს, რაც ქვეყნის კულტურულ თუ ბუნებრივ მრავალფეროვნებას დააზარალებს.

(ევროკავშირი საქართველოსთან სხვადასხვა პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს და ეს თანამშრომლობა კულტურულ პროექტებსაც მოიცავს. მათი მიზანია, დაეხმაროს საქართველოს ხალხური შემოქმედების მოღვაწეებს, არქიტექტორებს, ისტორიის მასწავლებლებს და ბევრ სხვა პროფესიონალს, შეინარჩუნონ და განავითარონ ტრადიცია და კულტურა).

**რას ნიშნავს „ასოცირების შესახებ შეთანხმება“/ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე ღვინის ექსპორტიორისთვის?**

მას შემდეგ, რაც „ასოცირების შესახებ შეთანხმება“/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე ძალაში შევა, ევროკავშირის ბაზარი სრულად გაიღება ქართველი ღვინის მწარმოებლებისთვის და მოიხსნება საიმპორტო გადასახადი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დღეს მოქმედი გეოგრაფიული დასახელებების შესახებ შეთანხმება, რომელიც საქართველოში წარმოებულ ღვინის სახეობებს ევროკავშირის ტერიტორიაზე სამართლებრივად იცავს, ძალაში დარჩება. საქართველოსა და ევროკავშირს შესაძლებლობა ექნებათ ამ შეთანხმებაში ღვინის სხვა სახეობებიც შეიტანონ.

ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე ქვეყანას გრძელვადიან სარგებელს მოუტანს. მწარმოებლებსა და ევროპელ იმპორტიორებს ეცოდინებათ, თუ რა წესები მოქმედებს საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ღვინის იმპორტისას. პროგნოზირების შესაძლებლობა ნდობას შემატებს ღვინის სექტორში მომუშავე ინვესტორებს, რაც ახალ ინვესტიციებსა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. ეს კი გულისხმობს, რომ ქართული ღვინის სახეობები უფრო მეტად გახდება ცნობილი და ევროპის ბაზარზე უფრო დიდ წილის დაკავების შესაძლებლობა გაუჩნდებათ.

### **რა გავლენას მოახდენს შეთანხმების ხელმოწერა სურსათის ფასებზე?**

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გახსნის საქართველოს ბაზარს ევროკავშირიდან სურსათის იმპორტიორებისთვის, ეს კი მეტ კონკურენციას გამოიწვევს და პოტენციურად სამომხმარებლო ფასებს გააიანფერებს. თუმცა, თუკი რომელიმე სურსათზე ფასი გაიზრდება, ეს შეიძლება არც ისე ცუდი იყოს, რადგან შესაძლებელი გახდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ბევრი საქართველოს მოქალაქის შემოსავლის გაზრდა.

ევროკავშირიდან შემოტანილი სურსათი, სავარაუდოდ, გადამუშავებული სურსათი იქნება, მაგალითად, შოკოლადი და არა სურსათის ისეთი სახეობა, რომელიც ადგილზე იწარმოება. ასე რომ, იმის ალბათობა, რომ ევროკავშირიდან ხილისა და ბოსტნეულის იმპორტი ქართველ გლეხზე გავლენას მოახდენს, უმნიშვნელოა.

### **დაეხმარება თუ არა ევროკავშირი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებას?**

ევროკავშირი უკვე უწევს მნიშვნელოვან დახმარებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს, განსაკუთრებით მცირე ფერმერებს. 45 მლნ ევროზე მეტი უკვე დაიხარჯა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნაში, ბაზარზე გასვლასა და შემოსავლის გაზრდის მიზნით მათი დიდმასშტაბიან ეკონომიკაში ჩართვაში. ევროკავშირის დახმარებით ფერმერთათვის შეიქმნა თანამედროვე საკონსულტაციო სისტემა, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოიყო ტექნიკური დახმარება და საკონსულტაციო მომსახურება.

ევროკავშირი ფინანსურ დახმარებას უწევს რეგიონულ განვითარებაზე მიმართულ საქმიანობას და პროფესიულ განათლებას, რაც სოფლად ცხოვრების გაუმჯობესებას დაეხმარება.

ევროკავშირი აღიარებს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა არამარტო დიდი საექსპორტო პოტენციალის მქონე სფეროა, არამედ მას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს, რადგან საქართველოს შრომითი ბაზრის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

### **გაადვილდება თუ არა ევროპაში ექსპორტი ქართული კომპანიებისთვის?**

დღეს, ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს თავისი საერთო ექსპორტის 25% გააქვს. შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელი რეფორმები საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებს და ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტს გააადვილებს. მაგალითად, სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სფეროს რეფორმირება შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მოახდინოს ხორცის, რძის პროდუქტებისა და თევზის ევროკავშირში ექსპორტი. დღეისათვის ეს შეუძლებელია. შეთანხმება საქართველოს ევროკავშირის ეკონომიკასთან ინტეგრირებაში დაეხმარება, ასევე, ხელს შეუწყობს კონკურენციასა და ეკონომიკურ ზრდას.

**რა გავლენას მოახდენს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოს შესაძლებლობებზე, ივაჭროს რუსეთთან?**

ევროკავშირის სტანდარტები ხელს არ უშლის ევროკავშირის კომპანიებს, განახორციელონ რუსეთში ექსპორტი ან ითანამშრომლონ რუსულ კომპანიებთან. რატომ უნდა იყოს ეს პრობლემური ქართული კომპანიებისთვის? ქართული კომპანიები უკვე აწარმოებენ რუსეთში ექსპორტს და ამ საქმიანობას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედების შემდეგაც გააგრძელებენ.

**შეიძლება თუ არა, რომ საქართველოს ხელმოწერილი ჰქონდეს ევროკავშირთან „ასოციირების შესახებ შეთანხმება“ და ამავდროულად იყოს რუსეთთან საბაჟო კავშირის წევრი?**

საქართველო სუვერენული ქვეყანაა და თვითონ წყვეტს ვაჭრობის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, თუ რა შედეგი მოყვება თითოეულ გადაწყვეტილებას. თუკი საქართველო საბაჟო კავშირში გაწევრიანდება, მას არ ექნება არჩევანი და მოუწევს სხვა ქვეყნებთან არსებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების გაუქმება, „ევროკავშირთან ასოციირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული შეთანხმების ჩათვლით. თუკი საქართველოს სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებელი პრეფერენციული სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან და საბაჟო კავშირთან, ეს შესაძლებელი იქნება თავისუფალი სავაჭრო სივრცეების შექმნის გზით. შეთანხმება სწორედ ამას ისახავს მიზნად, მისცეს საქართველოს საშუალება, თავისუფლად განსაზღვროს თავისი სავაჭრო პოლიტიკა.

**შექმნის თუ არა შეთანხმება მეტ სამუშაო ადგილს საქართველოში?**

შეთანხმების მიზანია დაეხმაროს საქართველოს ეკონომიკას მოდერნიზებაში და შექმნას ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები, დახვეწოს არსებული ინფრასტრუქტურა და გაააქტიუროს ეკონომიკური საქმიანობა მრავალ სფეროში. შეთანხმებით გამოწვეული თუ შეთანხმებისგან დამოუკიდებლად მიმდინარე ეკონომიკური აქტივობის ნებისმიერ ცვლილებას შეუძლია პოზიტიური შედეგი მოუტანოს დასაქმების სფეროს, მასში ცვლილებების შეტანისა და შესაძლებლობების ზრდის კუთხით. სრული სარგებლის მისაღებად ზოგიერთი სფერო მეტად კონკურენტუნარიანი უნდა გახდეს.

**როგორ დაეხმარება ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში?**

„ასოციაციის შესახებ შეთანხმებაში“ ევროკავშირი ადასტურებს მზადყოფნას, დაეხმაროს საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებში. ევროკავშირი თავმჯდომარეობს ქენევის საერთაშორისო დისკუსიებს, სადაც მონაწილეები ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებასა და უსაფრთხოების გაზრდაზე მუშაობენ. ევროკავშირის მონიტორინგის მისია ეხმარება საქართველოს, შეინარჩუნოს სტაბილურობა და თავიდან აიცილოს ინციდენტები ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ, რაც მიმდებარე რაიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის უფრო მშვიდობიან ცხოვრებას უზრუნველყოფს. ევროკავშირი ჩართულია საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ოსეთის – ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ნდობის აღდგენაში, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებელი პირობაა. „ასოციაციის შესახებ შეთანხმება“ წვლილს შეიტანს უფრო ღრმა დემოკრატიის დამკვიდრებაში, ადამიანის უფლებების უკეთ დაცვასა და საქართველოში მეტი კეთილდღეობის დამკვიდრებაში. ეს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას შეუწყობს ხელს და საქართველოს უფრო მიმზიდველს გახდის აფხაზური და სამხრეთ ოსური საზოგადოებისთვის.

### **რას საქმიანობს ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) საქართველოში?**

ევროკავშირის მონიტორინგის მისია ევროკავშირის სამოქალაქო, შეიარაღების გარეშე მოქმედი მისიაა. ის საქართველოში 2008 წელს გამოიგზავნა, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ევროკავშირის შუამავლობით მომზადებულ ექვსპუნქტიან შეთანხმებას, რომელმაც დაასრულა აგვისტოს ომი.

მონიტორინგის მისიის პრიორიტეტია, არ დაუშვას ძალადობის განახლება, უზრუნველყოს შეძლებისდაგვარად ნორმალური და უსაფრთხო პირობები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდებარედ მცხოვრები ადამიანებისთვის და ხელი შეუწყოს ნდობის აღდგენას კონფლიქტის მხარეებს შორის.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე მისიამ დაიწყო სადღეღამისო პატრულირება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. მის შემადგენლობაში შედის დაახლოებით 200 მონიტორი ევროკავშირის სხვადასხვა წევრი სახელმწიფოდან. მისიის შტაბბინა მდებარეობს თბილისში. მას აქვს ოფისები გორში, მცხეთასა და ზუგდიდში. მისიის მანდატი მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება, თუმცა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები დღემდე არ აძლევენ მონიტორინგის მისიას მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობას.